საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი

ბრძანება N 2-1545

12/11/2021

ქ. თბილისი

„შპს „გნაცების“ სასარგებლო წიაღისეულის გადამამუშავებელი (მანგანუმის მადნის სამსხვრევი) საწარმოს მშენებლობასა და ექსპლუატაციაზე ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2016 წლის 8 თებერვლის №ი-69 ბრძანების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ

2021 წლის 18 ოქტომბერს სამინისტროს მომართა შპს „ნავარძეთის“ დირექტორმა და ითხოვა 2016 წლის 3 თებერვალს გაცემული №4 ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის გაუქმება.

2016 წელს საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს მიერ შპს „გნაცების“ სასარგებლო წიაღისეულის გადამამუშავებელი (მანგანუმის მადნის სამსხვრევი) საწარმოს მშენებლობასა და ექსპლუატაციაზე გაიცა №4 ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა.

2021 წელს შპს „გნაცებმა“ შეიცვალა საფირმო სახელწოდება და ჩამოყალიბდა შპს „ნავარძეთის“ სახელით (იგივე საიდენტიფიკაციო ნომრით), რაც დასტურდება სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან ამონაწერით.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, შპს „ნავარძეთის“ განცხადებისა და „ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 61-ე მუხლის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „შპს „გნაცების“ სასარგებლო წიაღისეულის გადამამუშავებელი (მანგანუმის მადნის სამსხვრევი) საწარმოს მშენებლობასა და ექსპლუატაციაზე ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2016 წლის 8 თებერვლის №ი-69 ბრძანება;
2. ამ ბრძანების ასლი გაეგზავნოს შპს „ნავარძეთს“;
3. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „ნავარძეთის“ მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
4. ბრძანების გაცემიდან 5 დღის ვადაში აღნიშნული ბრძანება განთავსდეს სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე;

5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. №6), მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ლევან დავითაშვილი

მინისტრი